ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომა

ო ქ მ ი#4

12 აპრილი 2021 წელი

ქ.ბაღდათი 11.00 სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა: სიმონ ჭოლოკავა

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
გრიგოლ ტაბეშაძე
ფრიდონ მაჩიტაძე
მურად ბურჯანაძე
თორნიკე გაჩეჩილაძე
გაბრიელ ღიბრაძე
თემურ მინაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის ექსპერტ-კონსულტანტი - კარლო დოგრაშვილი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი: კახა მსხვილიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: გიორგი ნერგაძე

სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით ბაღდათის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსაზღვრული დაფინანსების დასახლებების მიხედვით განაწილების და შერჩეული პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

მომხს. კახა მსხვილიძე

სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი თანახმაა განიხილონ დღის წესრიგის მიხედვით წარმოდგენილი საკითხი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი1 კომისიის თავმჯდომარემ სიმონ ჭოლოკავამ წარმოადგინა საკითხი: სოფლის მხარდაჭერის პროგრამით ბაღდათის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსაზღვრული დაფინანსების დასახლებების მიხედვით განაწილების და შერჩეული პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსმა: კახა მსხვილიძემ

კომისიის თავმჯდომარე: სიმონ ჭოლოკავამ, კითხვით მიმართა კახა მსხვილიძეს, რომ მთლიანი თანხის ჯამი სოფლის მხარდაჭერის პროგრამით არის 366,000 ლარი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი: კახა მსხვილიძემ უპასუხა სიმონ ჭოლოკავას, რომ კი ბატონო სოფლის მხარდაჭერის პროგრამით მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსაზღვრული დაფინანსების დასახლებების მიხედვით შეადგენს 366,000 ლარს და 38 პროექტი უნდა განხორციელდეს აღნიშნული პროგრამის ფარგლებში.

კომისიის წევრი: გაბრიელ ღიბრაძემ კითხვით მიმართა კახა მსხვილიძეს, რომ სოფ. წითელხევის ხიდის აღდგენა, როდის უნდა დასრულდეს

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი: კახა მსხვილიძემ უპასუხა გაბრიელ ღიბრაძეს, რომ სოფ. წითელხევში ხიდის აღდგენა ხელშეკრულებით უნდა დასრულდეს აგვისტოს ბოლოს

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ: სიმონ ჭოლოკავამ კენჭისყრაზე დასვა საკითხი: სოფლის მხარდაჭერის პროგრამით ბაღდათის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსაზღვრული დაფინანსების დასახლებების მიხედვით განაწილების და შერჩეული პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ წარმოდგენილი სახით გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიამ გადაწყვიტა:

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით ბაღდათის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსაზღვრული დაფინანსების დასახლებების მიხედვით განაწილების და შერჩეული პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ წარმოდგენილი საკითხი გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

სხდომის დღის წესრიგით მიხედვით საკითხი ამოიწურა

სხდომა დახურულად გამოცხადდა

კომისიის თავმჯდომარე: სიმონ ჭოლოკავა